საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№269/3

2019 წელი, 10 ივნისი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 101-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, 102-ე მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების და 130-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოთ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის (წამყვანი კომიტეტი), იურიდიულ საკითხთა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებს, განიხილონ საქართველოს პარლამენტის წევრების: რატი იონათამიშვილის, სოფიო კილაძის, ირაკლი ბერაიას, ანრი ოხანაშვილის, მერაბ ქვარაიას, ცოტნე ზურაბიანის, დიმიტრი მხეიძის, დავით მათიკაშვილის, ვანო ზარდიაშვილის, გიორგი ხატიძის, სოფიო ქაცარავას და გუგული მაღრაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს მთავრობისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატური ოქმის საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარების მიზნით კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის რეკომენდაციის თაობაზე“ (07-3/360; 05.06.2019) საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი და წამყვანმა კომიტეტმა გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

ირაკლი კობახიძე